ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი

საკონტაქტო ინფორმაცია :
ქ. თბილისი , უნივერსიტეტის ქ. N2
ელ-ფოსტა: cve@tsu.ge

თბილისი
2018 წ

I. **სახელწოდება:** საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი

II. **ჩაჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი:** - 10102-3

III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

V. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ტურისტულ სააგენტოში, ტურიზმის დეპარტამენტში, ტუროპერატორ კომპანიაში, მუზეუმში, ნაკრძალების/დაცული ტერიტორიების, არქეოლოგიურ ან არქიტექტურულ ძეგლებთან არსებულ საექსკურსიო ბიუროებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, თვითდასაქმებით, მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

VI. **პროგრამის მიზანი:**
პროგრამის მიზანია მოამზადოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვალიფიციური გიდი, მისცეს საჭირო თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ–ჩვევები, რათა შეძლოს კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმება.

VII. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ ტურისტებისათვის შემუშავებული ტურისტული მარშრუტისა და შესაბამისი პროგრამის განხორციელება;
- საექსკურსიო მომსახურება მთელი საქართველოს ან/და კონკრეტული რეგიონის მასშტაბით;
- ტურისტული ჯგუფის მართვა;
- ტურის საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელება;
- პრობლემური სიტუაციების მართვა;
- ექსკურსიის მომზადება და ჩატარება.

VIII. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.**

1. **ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**

- **მოცულობა:** 115 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 19 სასწავლო თვე

2. **არქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**

- **მოცულობა:** 145 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 24 სასწავლო თვე

IX. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

ზოგადი მოდულები			
№	მოდულისდასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 2	➢ სრული ზოგადი განათლება	3
2	მეწარმეობა 3	➢ სრული ზოგადი განათლება	3
3	ინგლისური ენა	➢ საბაზო განათლება	5
ჯამი			11
სავალდებულო პროფესიული მოდულები			
№	მოდულისდასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
4	გაცნობითი პრაქტიკა	➢ საბაზო განათლება	2
5	საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	➢ სრული ზოგადი განათლება	5
6	საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია	➢ სრული ზოგადი განათლება	5
7	ტურიზმის ინდუსტრია	**მოდული:** ➢ საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	6
8	ტურისტული მომსახურების სამართლებრივი უზრუნველყოფა	➢ სრული ზოგადი განათლება	4
9	ქართული კულტურა და ხელოვნება	➢ სრული ზოგადი განათლება	5
10	უსაფრთხოება და პირველადი გადაუდებელი დახარება	➢ სრული ზოგადი განათლება	3
11	ექსკურსიის მომზადება	**მოდულები:** ➢ ტურიზმის ინდუსტრია; ➢ საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	5
12	პრობლემური სიტუაციების მართვა	**მოდული:** ➢ ექსკურსიის მომზადება	3
13	ტურის საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელება	**მოდული:** ექსკურსიის მომზადება	5
14	ტურისტული ჯგუფის მართვა	**მოდული:** ➢ ექსკურსიის ჩატარება	4
15	ექსკურსიის ჩატარება	➢ სრული ზოგადი განათლება	5
16	მუზეუმის ტურის წარმართვა	**მოდული:** ➢ ტურისტული ჯგუფის მართვა	3
17	ღვინის ტურის წარმართვა	**მოდული:** ➢ ტურისტული ჯგუფის მართვა	3
18	რელიგიური ტურის წარმართვა	**მოდული:** ➢ ტურისტული ჯგუფის მართვა	3
19	დარგობრივი უცხოური ენა ინგლისური ქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდისთვის	➢ სრული ზოგადი განათლება	5
20	საწარმოო პრაქტიკა	➢ სრული ზოგადი განათლება	12
21	პრაქტიკული პროექტი	➢ სრული ზოგადი განათლება	6
ჯამი			84

არჩევითი მოდულები			
22	აღმოსავლეთ საქართველოში ტურის განხორციელება	➢ სრული ზოგადი განათლება	**5**
23	დასავლეთ საქართველოში ტურის განხორციელება	➢ სრული ზოგადი განათლება	**5**
24	სამხრეთ საქართველოში ტურის განხორციელება	➢ სრული ზოგადი განათლება	**5**
25	საქართველოს მთიანეთში ტურის განხორციელება	➢ სრული ზოგადი განათლება	**5**
ჯამი			**20**
სულ			**115**

X. ქართული ენის მოდულების გავლის შესახებ

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართულიენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებამოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველო სგანათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართულიენის მოდულებით."

XI. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.